

ოქმი N8

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2017 წელი, 21 მარტი

ქ. ოზურგეთი, 12⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:
ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: ლ.თოიძე, ი.საჯაია, ნ.ტაბატაძე,
მ.მახაროზლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: ნ.ორაგველიძე, თ.ნადირიძე, კ.კვაჭაძე.

საკრებულოს წევრები: გ.ძიმისტარიშვილი, ნ.შარაშანიძე, ვ. ჩიგოგიძე,
ლ.მგელაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს
უფროსი ლ. ჭელიძე, საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები,
მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

არ ესწრებოდნენ: ლ.ბიგვავა, თ.სალუქვაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნ. გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც
დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

- ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გელა
კობალაძისათვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ - ქალაქ ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ სხდომაზე დამსწრეთ ცნობის სახით მიაწოდა
ინფორმაცია საკრებულოს წევრ გელა კობალაძისათვის უფლებამოსილების
შეჩერების შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად

2. „ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ -
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24
დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებლები: მარიკა ნაცვალაძე

ლავრენტი ზიგვავა

მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვს: ლ. მგელაძე - დანართში ქუჩების ჩამონათვალი არ ფიგურირებს? სია არ შეიცვლება? მსგავს შემთხვევებში მომხდარა რომ შეცვლილა ქუჩების ჩამონათვალი. მე ეჭვი მაქვს შეიცვლება ქუჩების დასახელება, როგორც შეიცვალა საგზაო ნიშნები, ასევე 9 აპრილის სკვერში ქუჩის გაჭრა.

ნ. გოგუაძე - ეს არ ეხება აღნიშნულ საკითხს.

მ. ნაცვალაძე - საკრებულოსთან შეთანხმებით ქუჩების ჩამონათვალი დამტკიცებულია.

მ. წიფწივაძე - მთავრობის დადგენილებაში მითითებულია ქუჩები. თქვენი ეჭვის გასაქარწყლებლად ვნახოთ მთავრობის განკარგულება. /მ.წიფწივაძემ წარმოადგინა მთავრობის განკარგულება N480/

გ. ძიმისტარიშვილი - თანხა იზრდება. მე გამიჭირდება მხარი არ დავუჭირო ამ საკითხს, მაგრამ პატივი ვცეთ ერთმანეთის აზრს.

ნ. გოგუაძე - სხდომაზე დამსწრეთ გააცნო საქართველოს მთავრობის განკარგულება ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან დაკავშირებით.

თ. ნადირიძე - ყველას გვაქვს თმენის ვალდებულება.

ნ. ტაბატაძემ დამსწრეთ გააცნო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. (დასკვნა თან ერთვის).

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება

დამტკიცდა ერთხმად

დადგენილება თან ერთვის

3. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებლები: ირინე საჯაია

ნინო ტაბატაძე

მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და აღნიშნა, რომ ძირითადად მოხდა ტექსტური შესწორებები.

**დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
დადგენილება თან ერთვის**

4. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს ლიკვიდაციის თაობაზე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: გიორგი ხუროშვილი

მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი და ითხოვა მერისათვის თანხმობის მიცემა ა(ა)იპი „სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრი“-ს ლიკვიდაციაზე.

აზრი გამოთქვეს: ვ. ჩიგოგიძე - ყველა ცვლილება მოხდება კანონთან მიმართებაში.

**დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის**

5. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების, სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და ითხოვა საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, რომელიც დასრულდება 30 მარტს.

აზრი გამოთქვეს: მ. ჯაფარიძე - მთავრობამ მოგვცა დრაფტის სახით სტანდარტები, რომელიც ჩვენი შეხედულებისამებრ უნდა მივიღოთ 1 აპრილამდე.

ნ. გოგუაძე - დადგენილებას იღებს საკრებულო, რომელიც უნდა შევიმუშაოთ და მივიღოთ.

ე. ჯაფარიძე - საკითხი განმარტა იურიდიული კუთხით. საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესამუშავებელია საკრებულოს მიერ.

**დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის**

6. „სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და ითხოვა საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, რომელიც დასრულდება 30 მარტს.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის

7. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და ითხოვა საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, რომელიც დასრულდება 30 მარტს.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის

8. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და ითხოვა საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, რომელიც დასრულდება 30 მარტს.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის

9. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: ირინე საჯაია


მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და ითხოვა საკითხზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, რომელიც დასრულდება 30 მარტს.

**დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება
დამტკიცდა ერთხმად
განკარგულება თან ერთვის**

სხდომის თავმჯდომარე ნინო გოგუაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა